საარქივო მომსახურების გაწევის შესახებ
ხელშეკრულება N03-39/2

ქ. თბილისი 22მარტი, 2017წ.

ერთი მხრივ, განათლების და მეცნიერების სამინისტრო (შემდეგში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მიხეილ კახნიაშვილის სახით და მეორე მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ეროვნული არქივი (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი ეროვნული არქივის დაწესებულებების დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების განყოფილების უფროსის, ნოდარ მამალაძის სახით, **„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3-ე პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე**, დაფინანსების წყარო „განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება" (კოდი: 320101) დებენ, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის დოკუმენტების საქმეთა ნაერთი ნომენკლატურის შედგენა (შემდგომში „მომსახურება), შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ (CPV: - 79900000).

2. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება

2.1.წინამდებარე ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრება **1500.00 (ერთი ათას ხუთასი)** ლარის ოდენობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

2.2.წინამდებარე ხელშეკრულების „2.1" პუნქტში მითითებული ღირებულება შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ გაწეული მომსახურებების მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული თანხის გათვალისწინებით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 2.1 პუნქტში მითითებულ თანხას.

2.3.წინამდებარე ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ფარგლებში გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს წინამდებარე ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულებისა.

2.4.მომსახურების ღირებულების გაანგარიშებისას გამოიყენება ,,საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობების, გადახდის წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N506 დადგენილება.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1.წინამდებარე ხელშეკრულებით ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან/საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან **5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.**

3.2.უნაღდო ანგარიშსწორება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.3.თუკი, ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება ხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

3.4.მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს შემსყიდველის მხრიდან წარმოადგენს ადმინისტრაციის (დეპარტამენტის) უფროსი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - უფლებამოსილი პირი.

3.5.მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს მიმწოდებლის მხრიდან წარმოადგენს დაწესებულებების დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების განყოფილების უფროსი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

4. ხელშეკრულება უფლება-ვალდებულებანი

4.1.მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს მომსახურება იმ მოცულობით, რომელზეც შეთანხმდებიან მხარეები, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;

ბ) შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი დ. უზნაძის N52, განათლების და მეცნიერების ადმინისტრაციული შენობა და ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N1, სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის შენობა.

4.2.მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა)მოთხოვოს შემსყიდველს აანაზღაუროს გაწეული მომსახურების შესაბამისი ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 და მე-3 მუხლებში მითითებული დათქმის შესაბამისად;

ბ)მოთხოვოს შემსყიდველს მომსახურების გაწევისათვის საჭირო ინფორმაციის სრულად მიწოდება.

4.3.შემსყიდველი ვალდებულია:

ა)გადაუხადოს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 და მე-3 მუხლებში დათქმული პირობების შესაბამისად;

ბ)მიაწოდოს მიმწოდებელს მომსახურების გაწევისათვის საჭირო ინფორმაცია.

4.4.შემსყიდველი უფლებამოსილია:

მოთხოვოს მიმწოდებელს განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები სრული მოცულობით წინამდებარე ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს მიმწოდებლის მხრიდან განახორციელებს დაწესებულებების დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების განყოფილების უფროსი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი, ხოლო შემსყიდველის მხრიდან კონტროლის განმახორციელებელ პირს წარმოადგენს საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი ან მისი არყოფნის შემთხვევაში უფლებამოსილი პირი.

5.1 შემსყიდველის მხრიდან კონტროლის განმახორციელებელი პირი ამოწმებს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და ადასტურებს შესაბამისი დასკვნით, ხოლო ამის შემდეგ მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1.წინამდებარე ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.

6.2.თუ რაიმე, წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი მოსაზრებები წერილობითი ფორმით.

6.3.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხარეთა ორმხრივი შეთანხმების გზით, რომელიც ფორმდება წერილობითი შეთანხმების სახით.

7. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

მხარეებს შეუძლიათ ვადამდე შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:

ა)მიმწოდებელი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება თუ აღმოჩნდა, რომ შემსყიდველი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების დროულად გადახდას;

ი)შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არშესრულების ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში;

გ)წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წერილობითი ფორმით, წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე 10 სამუშაო დღით ადრე;

დ)წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ე)წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8. ფორს-მაჟორი

8.1ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

8.3 მიმწოდებლისთვის ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ.

8.4 შემსყიდველისთვის მიერ ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.5 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველი/მიმწოდებელი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

9.2 მიმწოდებლის/შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი/შემსყიდველი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას დააგვიანებს 10 კალენდარული დღით, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ასევე გამოიყენოს ამ პუნქტის 9.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობები.

9.4 საჯარიმო სანქციების გადახადა არ ათავისუფლებს შემსყიდველს ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან.

9.5 დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

10. დავის გადაწყვეტა

10.1.მხარეთა შორის წამოჭრილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.

10.2.ურთიერთშეთანხმებით დავის გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია დავის გადასაჭრელად დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 22 მაისის ჩათვლით.

12. დასკვნითი დებულებები

12.1.წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია, განიმარტება და რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

12.2.წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შემსყიდველს, ერთი კი მიმწოდებელს.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52;
ტელ.: 2200220
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22;
საბანკორეკვიზიტები:ა/ა
GE24NB0330100200165022;
საიდენტიფიკაციო კოდი: 202051224

მიმწოდებელი
სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22
ანგარიშის № 707447080
ს/კ 211358957

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

მიხეილ ჯანნიაშვილი

დაწესებულებების დოკუმენტების
სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების
განყოფილების უფროსი

ნოდარ შენგელია